

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია
GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



**საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა
ასოციაცია და „საერთაშორისო
გამჭვირვალობა - საქართველო“
მოუწოდებენ ხელისუფლებას განმარტონ,
რის საფუძველზე ხდება "მაესტროს"
სატელიტური თეფშების დაყადაღება**

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“ მოუწოდებენ თბილისის საქალაქო სასამართლოს და მთავარ პროკურატურას გამოაქვეყნონ შესაბამისი მტკიცებულებები და წარმოადგინონ ადეკვატური იურიდიული განმარტებები ტელეკომპანია "მეგსტროს" მიერ იმპორტირებული სატელეიტური თეფშების დაყადაღების შესახებ.

სატელეიტური თეფშების დამონტაჟების აღკვეთა, რომლის გავრცელებაც, "მეგსტროს" განცხადებით, მის [მფლობელთა](#) დაფინანსებით მოხდება, შესაძლოა საზოგადოების მიერ მედიის ხელმისაწვდომობის სანინააღმდეგოდ გადადგმულ ნაბიჯად იყოს აღქმული. მედიის წინააღმდეგ განხორციელებული ნებისმიერი ქმედება უნდა იყოს პროპორციული და უნდა განხორციელდეს მაქსიმალურად გამჭვირვალედ. ასევე, ნათლად და საჯაროდ უნდა განიმარტოს, რატომ არის "მეგსტროს" მიერ თეფშების გავრცელება ამორჩევლის მოსყიდვა ოპობიციური კოალიცია „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ.

როგორც ჩვენთვის ცნობილია, "მეგსტროს" მიერ ანტენების დისტრიბუციის პროცესი ჯერ არ დაწყებულა და შესაბამისად აქციის პირობები ცნობილი არ არის. მიმდინარე წლის 3 ივლისს მეგსტროს დირექტორმა ილია კიკაბიძემ [media.ge](#)-ს განუცხადა:

„ხელშეკრულებაზე ჩვენი იურისტები მუშაობენ.ახლა არ შემოძლია გითხრათ, კონკრეტულად რა ეღირება ეს თეფშები, ან რა პირობები იქნება. მაგრამ გადასახადს ძალიან მინიმალურს,სიმბოლურ თანხას დავანწესებ“.

საქართველოს მთავარი [პროკურატორის განცხადებაში](#) ნათქვამია, რომ „საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად, მიღებულ იქნა გადაწყვეტლება სასამართლოსთვის ყადაღის გამოყენების შესახებ შუამდგომლობით მიმართვის თაობაზე“, რადგანაც გამოძიების ფარგლებში დადგენილ იქნა, რომ პოლიტიკური ორგანიზაცია „ქართულ ოცნებასთან“ დაკავშირებული კომპანია „ელიტა ბურჯის" ხელმძღვანელ პირთა დავალებით, კომპანია „მეგსტრომ" საქართველოში შემოიტანა დიდი ოდენობით ანტენები.

პროკურატურის განცხადებაში ვკითხულობთ, რომ „გამოძიების ხელთ არსებული მტკიცებულებები მიუთითებს, რომ აღნიშნული ანტენები კვლავ გამოყენებული იქნება მოსახლეობისათვის უსასყიდლოდ გადასაცემად იმავე სქემით, როგორც ეს უკვე განხორციელდა ბოლო დროის განმავლობაში „გლობალ კონტაქტ კონსალტინგის" მიერ.

საქართველოს პროკურატურა აცხადებს, რომ აღნიშნული ღონისძიებები მიზნად ისახავს

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია GEORGIAN YOUNG LAWYERS' ASSOCIATION



წინასწარჩვენო პროცესების დაცვას შესაძლო დანაშაულებრივი ჩარევისაგან და პოლიტიკური პარტიებისა და მოქალაქეების საარჩევნო უფლებებისა და გამოხატვის თავისუფლების უზრუნველყოფას.“